ALDAGI

**სარჩევი**

05. ლოგო
17. ლოგოს შავ-თეთრი ვერსია
21. თავისუფალი სივრცე
27. მინიმალური ზომა
29. ლოგოს გამოყენების ცუდი შემხვევები
31. ფერთა გამა
35. ლოგო სხვადასხვა ფონზე

# ლოგო

## სიმბოლო

ალდაგის განახლებული სიმბოლო წარმოადგენს ერთგვარ თაღს, რომელიც ძირითად შემთხვევებში მწვანე ფერით გამოისახება. სიმბოლო იწვევს სიმსუბუქის და სტაბილურობის ასოციაციას.

სიმბოლოსთან ერთად გვხდება წარწერაც, რომელიც შემდეგ გვერდებზეა მოცემული.

## სიმბოლო

სიმბოლოს აგების პრინციპები და პროპორციები წარმოდგენილია გრიდის სახით. შტრიხის სისქე წარმოადგენს x სიდიდეს, ხოლო სიმბოლოს სიგანე და სიმაღლე 6x-ს. თაღი იქმნება წრიული ფორმებისგან, რომელთა რადიუსებიც 4x-სა და 5x-ს უდრის.



## სიმბოლო ლათინურ წარწერასთან ერთად

ალდაგის ლოგო შედგება სიმბოლოსა და წარწერისგან. წარწერა ჰარმონიულად ერწყმის სიმბოლოს და მთლიანობაში წარმოადგენს ბრენდის განუყოფელ ნაწილს. ამ გვერდზე მოცემულია ალდაგის ლოგოს ლათინური ვერსია, რომელიც ვერტიკალური წყობითაა მოცემული.

ALDAGI

## სიმბოლო ლათინურ წარწერასთან ერთად ბადეზე

ლოგოს აგების პრინციპები და პროპორციები წარმოდგენილია გრიდის სახით. იმ შემთხვევაში თუ სიმბოლოს სიგანე არის 6x, მანძილი წარწერასა და სიმბოლოს შორის უდრის 2x-ს.



## სიმბოლო ქართულ წარწერასთან ერთად

ლათინური ლოგოს მსგავსად ალდაგის ლოგოს ქართული ვერსიაც სიმბოლოსა და წარწერისგან შედგება. აღნიშნული წარწერა ჰარმონიულად ერწყმის სიმბოლოს და საერთო ჯამში მარტივად აღსაქმელ ფორმას ქმნის.

## სიმბოლო ქართულ წარწერასთან ერთად ბადეზე

ლოგოს აგების პრინციპები და პროპორციები ანალოგიურია ქართულწარწერიანი ვერსიის შემთხვევაშიც. შტრიხის სისქე წარმოადგენს x სიდიდეს, ხოლო სიმბოლოს სიგანე და სიმაღლე 6x-ს. თაღი იქმნება წრიული ფორმებისგან, რომელთა რადიუსიც 4x-სა და 5x-ს უდრის.



## ლათინურ წარწერიანი, ლოგოს ვერტიკალური ვერსია

ლოგოს გამოყენების ერთ-ერთ ვერსიად განიხილება ვერტიკალური წყობის ვარიანტი, სადაც წარწერა ლოგოს ქვეშ თავსდება. წარწერა ჰარმონიულად ერწყმის სიმბოლოს და საერთო ჯამში მარტივად აღსაქმელ ფორმას ქმნის.

ALDAGI

## ლათინურ წარწერიანი, ლოგოს ვერტიკალური ვერსია

ვერტიკალური ვერსიის შემთხვევაში წარწერა იკავებს იგივე ზომას სიგანეში, რასაც თავად სიმბოლო. სიმბოლოსა და წარწერას შორის მანძილი უდრის ⅔x-ს, რაც ასევე არის სიმბოლოს შტრიხის სისქე.



**ქართულ წარწერიანი, ლოგოს ვერტიკალური ვერსია**

ლოგოს ვერტიკალური ვარიანტი ანალოგიურია ქართული წარწერის შემთხვევაშიც. წარწერა ჰარმონიულად ერწყმის სიმბოლოს და საერთო ჯამში მარტივად აღსაქმელ ფორმას ქმნის.

## ქართულ წარწერიანი, ლოგოს ვერტიკალური ვერსია

ლოგოს ვერტიკალური ვარიანტის აგების პრინციპები და პროპორციები ანალოგიურია ქართულწარწერიანი ვერსიის შემთხვევაშიც. წარწერა იკავებს იგივე ზომას სიგანეში, რასაც თავად სიმბოლო.

სიმბოლოსა და წარწერას შორის მანძილი უდრის ⅔x-ს, რაც ასევე არის სიმბოლოს შტრიხის სისქე.



# შავ-თეთრი

## ლათინურწარწერიანი ლოგოს შავ-თეთრი ვერსია

არსებობს ლოგოს შავ-თეთრი ვერსიის გამოყენების ორი ვარიანტი. ერთ შემთხვევაში, შავ ფონზე დატანილი არის თეთრი ფერის ლოგო, ხოლო მეორე შემთხვევაში, თეთრ ფონზე დატანილია

შავი ფერის ლოგო. ლოგოს შავ-თეთრი ვერსია არის ლოგოს სათადარიგო ვერსია.

## ქართულწარწერიანი ლოგოს შავ-თეთრი ვერსია

ლოგოს შავ-თეთრი ვერსიების წესები ანალოგიურად ვრცელდება ქართულ წარწერაზეც. ერთ შემთხვევაში, შავ ფონზე დატანილია თეთრი ფერის ლოგო, ხოლო მეორე შემთხვევაში, თეთრ ფონზე

დატანილი არის შავი ფერის ლოგო. ლოგოს შავ-თეთრი ვერსია არის ლოგოს სათადარიგო ვერსია.

## ვერტიკალური წყობის ლოგოს შავ-თეთრი ვერსიები

ლოგოს შავ-თეთრი ვერსიების წესები ანალოგიურად ვრცელდება ლოგოს ვერტიკალურ ვერსიებზეც, როგორც ლათინურ, ისე ქართულწარწერიან ლოგოებზე.

# თავისუფალი სივრცე

## თავისუფალი სივრცე

თავისუფალი სივრცე არის ცარიელი ადგილი ლოგოს გარშემო, სადაც არანაირი გრაფიკული ელემენტი არ უნდა იყოს შესული. სივრცის სიდიდე განისაზღვრება სიმბოლოს შტრიხის სისქიდან გამომდინარე. თუ ის x-ის ტოლია, მაშინ თავისუფალი სივრცე ლოგოს ოთხივე მხარეს უნდა უდრიდეს 4x-ს.



## თავისუფალი სივრცე

მოცემულ გვერდზე გამოსახულია ზემოთხსენებული პრინციპების მიხედვით აგებული ლოგო, რომლის თავისუფალ სივრცეშიც არანაირი ელემენტი არ უნდა შედიოდეს.

## თავისუფალი სივრცე

თავისუფალი სივრცეების გადანაწილების პრინციპი ანალოგიურია ქართულწარწერიანი ლოგოს შემთხვევაშიც. თუ სიმბოლოს შტრიხის სისქე უდრის x-ს, მაშინ თავისუფალი სივრცე ლოგოს ოთხივე მხარეს უნდა უდრიდეს 4x-ს.



## თავისუფალი სივრცე

მოცემულ გვერდზე გამოსახულია ზემოთხსენებული პრინციპების მიხედვით აგებული ქართულწარწერიანი ლოგო, რომლის თავისუფალ სივრცეშიც არანაირი ელემენტი არ უნდა შედიოდეს.

# მინიმალური ზომა

## მინიმალური ზომა

ლოგოს კარგი აღქმადობისათვის მნიშვნელოვანია შენარჩუნებული იყოს მინიმალური ზომის გამოყენების პრინციპი, რომლის გამოსათვლელადაც ვიყენებთ სიმბოლოს სიმაღლეს. ლოგოს გამოყენების მინიმალური ზომა მიიღწევა როდესაც სიმბოლოს სიმაღლე არის 5 მილიმეტრი.

მინიმალური ზომის გამოსათვლელი მანძილი



20 mm

15 mm

10 mm

5 mm

# დაუშვებელი გამოყენება

## დაუშვებელი გამოყენება

ლოგოს გამოყენებისას მკაცრად აკრძალულია ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც დაარღვევენ ბრენდის გამომსახველობით ფორმებს. ქვევით მოცემულია მაგალითები იმისა, თუ რა ცვლილებების არიდებაა საჭირო, რათა არ დაზიანდეს ბრენდის იდენტობა.

- ლოგოს ფორმის შეცვლა, მოხრა
- ლოგოს ქვეშ ჩრდილის წარმოქმნა
- ლოგოს კონტურული ვერსიის შექმნა
- ლოგოს პროპორციების დარღვევა სიმაღლეში ან სიგანეში გაწელვით
- სიმბოლოსა და წარწერის შორის მანძილის ცვლილება
- ლოგოს ვიზუალში პატერნის განთავსება
- ლოგოს წარწერის ვიზუალის ცვლილება
- ლოგოს ფერის ცვლილება
- ლოგოს თავისუფალი სივრცის დარღვევა

# ფერები

**ლოგოს ფერი**

**მწვანე**

C:87 M:0 Y:78 K:0
R:0 G:188 B:112
# 00BC70
Pantone: 7480 C

**ლოგოს წარწერის ფერი**

## მუქი ნაცრისფერი

C:66 M:56 Y:53 K:29
R:83 G:87 B:90
# 53575A
Pantone: 524 C

## მეორადი ფერები

ლოგოში გამოიყენება ძირითადად ორი ფერი - სიმბოლოსთვის მწვანე, ხოლო წარწერისთვის მუქი ნაცრისფერი. მათი კოდები მოცემულია ამ დოკუმენტში. ამავდროულად, ბრენდის სხვადასხვა

ვიზუალებში შესაძლებელია გამოყენებული იქნას მეორადი ფერებიც, რომელშიც იგულისხმება შედარებით მუქი შეფერილობის მწვანე ან თეთრი ფერი.

### ფონის მწვანე

C:97 M:21 Y:33 K:73
R:0 G:59 B:69

# 003B45
Pantone 7477 C

### ფონის თეთრი

C:0 M:0 Y:0 K:0
R:255 G:255 B:255

# FFFFFF
Pantone: White

# ლოგო ფონზე

## ლოგოს სხვადასხვა ფონზე დაუშვებელი გამოყენება

სხვადასხვა ფერის ფონზე შესაძლებელია გამოყენებული იქნას ლოგოს სხვადასხვა ვერსია. თუმცა, ღია ფერის ფონზე არ უნდა იყოს გამოყენებული თეთრი შეფერილობის ლოგო, ხოლო მუქი შეფერილობის ფონზე მუქი ფერის ლოგო.

1. Nam pellentesque, ex et efficitur

1. Nam pellentesque, ex et efficitur

## ლოგოს სხვადასხვა ფონზე რეკომენდირებული გამოყენება

ლოგოს სხვადასხვა ფონზე გამოყენების რეკომენდირებული ვერსიები, სადაც ნაჩვენებია, როგორც ლოგოს ძირითადი, ისე მეორადი ვერსიების გამოყენების ვარიანტები.

1. ლოგო თეთრ ბეგრაუნდზე

2. ლოგო მუქ მწვანე ფონზე

3. ლოგო ღია მწვანე ფონზე

LEAVINGSTONE

LEAVINGSTONE